საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაყვალი

მაყვალი

მაყვალი (Rubus fruticosus), მცენარე ვარდისებრთა ოჯახისა. მეტწილად ხვიარა ბუჩქებია. აქვს ეკლებით ან ჯაგრებით მოფენილი გრძელი ღეროები. პირველი წლის ყლორტებზე – ტურიონებზე – მხოლოდ ფოთლებია, მეორე წლის ყლორტებზე კი – ყვავილები და ნაყოფები. ყვავილები მარტოულია, უფრო იშვიათად ყვავილედებად შეკრებილი. ნაყოფი კრებადია და შედგება წითელი ან მოწითალო-მოშავო ნაფიფქიანი წვნიანი კურკიანებისგან.

მ-ის 200-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიასა და ჩრდ. ამერიკაში. საქართველოში 37 სახეობა გვხვდება, მათგან 27 საქართვ. ენდემია. მ-ის ღერო და ფოთლები მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ნაყოფი – 4–8% შაქრებს, 0,6–1,4% მჟავებს, C ვიტამინს და კაროტინს. იყენებენ ნედლად, აკეთებენ მურაბას, ჯემს და სხვა ნაწარმს. ცნობილია კულტ. მ-ის დაახლ. 300-მდე ჯიში.

ლ. ხინთიბიძე